საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№118 2017 წლის 2 მაისი ქ. თბილისი

„საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №135 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №135 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

2. ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების - „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის

გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს №427 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულება და შემადგენლობა.“.

3. ბრძანებით დამტკიცებული საბჭოს დებულება და შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულება და შემადგენლობა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა და მისი სამოქმედო გეგმის, ასევე მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით, იქმნება საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო (შემდგომში - საბჭო).

მუხლი 2. საბჭოს მიზანი

საბჭოს მიზანია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა.

მუხლი 3. საბჭოს ამოცანები

1. საბჭოს ამოცანებია:

ა) საჯარო მმართველობის რეფორმასა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული უწყებათაშორისი საკითხების კოორდინაცია;

ბ) საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა და მისი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი;

გ) საჯარო მმართველობის რეფორმასთან დაკავშირებული პროექტების, ინიციატივებისა და საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა;

დ) საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა და მისი სამოქმედო გეგმის განახლების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება, დოკუმენტების განახლების პროცესის კოორდინაცია და საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა და მისი სამოქმედო გეგმის განახლებული ვერსიების განხილვა;

ე) მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის განახლების მიზნების/ინდიკატორების გადახედვისა და განვრცობის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება, დოკუმენტების განახლების პროცესის კოორდინაცია;

ვ) საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის, მისი სამოქმედო გეგმისა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;

ზ) საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა;

თ) საჯარო მმართველობის რეფორმისა და გზამკვლევის ცალკეული კომპონენტების, ასევე მდგრადი განვითარების ცალკეული სექტორული მიზნების განხორციელების კოორდინაციის მიზნით შემდეგი სამუშაო ჯგუფების შექმნა:

თ.ა) საჯარო მმართველობის რეფორმის ცალკეული კომპონენტების - პოლიტიკის დაგეგმვის, ანგარიშვალდებულების, საჯარო ფინანსების მართვის, საჯარო სამსახურის, სახელმწიფო სერვისების განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით;

თ.ბ) გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგის მიმართულებით.

2. ამ დებულების მე-9 მუხლით განსაზღვრული საბჭოს შემადგელობის დამატებით, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგის თემატურ სამუშაო ჯგუფში მიწვეულნი იქნებიან წარმომადგენლები შემდეგი უწყებებიდან/ორგანიზაციებიდან:

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

ბ) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

დ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

ე) საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;

ვ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

ზ) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;

თ) სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

ი) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში (სამსახური);

კ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში;

ლ) საქართველოში გაეროს გაერთიანებული ორგანიზაციის (UN) სააგენტოები.

მუხლი 4. საბჭოს ანგარიშვალდებულება

საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

მუხლი 5. საბჭოს მუშაობის ორგანიზაცება

1. საბჭოს ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი.

2. საბჭოს სხდომები იმართება 3 თვეში ერთხელ.

3. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია საბჭოს ვადაზე ადრე მოწვევა საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

4. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს წარადგენს საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრებისა და საბჭოს სამდივნოს მიერ მიწოდებული განსახილველი საკითხების საფუძველზე.

5. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

6. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

7. იმ შემთხვევაში, თუკი საბჭო ვერ შეთანხმდება ან ვერ გადაწყვეტს საკითხს, საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნულ საკითხს წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

8. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე.

9. საბჭო უფლებამოსილია, სხდომებში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები სათათბირო ხმის უფლების გარეშე.

მუხლი 6. საბჭოს სამდივნო

საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახური.

მუხლი 7. საბჭოს სამდივნოს მიზანი

საბჭოს სამდივნოს მიზანია, უზრუნველყოს საბჭოს საქმიანობის ანალიტიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერა.

მუხლი 8. საბჭოს სამდივნოს ამოცანები

საბჭოს სამდივნოს ამოცანებია:

ა) ინფორმაციის გამოთხოვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის, მისი სამოქმედო გეგმისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების თაობაზე;

ბ) შესაბამისი უწყებების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის, მისი სამოქმედო გეგმისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების თაობაზე ანგარიშების მომზადება;

გ) საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი პრობლემებისა და რისკების გამოვლენა და რეაგირების გზების დასახვა;

დ) საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებისას ფინანსურ კომპონენტში პრობლემებისა და რისკების გამოვლენა და რეაგირების გზების დასახვა;

ე) საბჭოს სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;

ვ) საბჭოს სამუშაო შეხვედრებზე დასწრება, მონაწილეობის მიღება და შესაბამისი დღის წესრიგისა და ოქმების მომზადება;

ზ) საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის, მის სამოქმედო გეგმასა და მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის;

თ) საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის, მისი სამოქმედო გეგმისა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში

დონორული დახმარებების ანალიზი და ერთისა და იმავე მხარდაჭერის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია.

მუხლი 9. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;

დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

ე) საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

ვ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;

ზ) საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;

თ) ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

ი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;

კ) სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი;

ლ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსი;

მ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის ელექტრონული მმართველობის სამსახურის უფროსი;

ნ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის დონორების კოორდინაციის სამსახურის უფროსი.

2. საბჭოს სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა ეთხოვოთ თემატურად არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნესასოციაციებსა და სამეცნიერო საზოგადოებას.

3. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვოს საქართველოში ევროკავშირის (EU), საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) სააგენტოებისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენლობას.“.

გიორგი კვირიკაშვილი